

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტში იურისტის პოზიციაზე:

**ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტის ამოცანაა:** საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

### მოვალეობები:

- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო/საზედამხედველო ჩარჩოზე მუშაობა;
- ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის ჩარჩოს დახვეწაზე მუშაობა;
- ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გადახდისუნარიანობის მარეგულირებელ ჩარჩოზე მუშაობა.

### ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართლის სფეროში;
- სასურველია მუშაობის გამოცდილება საფინანსო სექტორში;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- საოფისე პროგრამების სრულყოფილად ცოდნა.

### კომპეტენციები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი,
- მიზანდასახულობა,
- თვითგანვითარების სურვილი,
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზირების უნარი,
- შეზღუდული ინფორმაციის პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი.

**ანაზღაურება:** განისაზღვრება კანდიდატის გამოცდილებისა და განათლების შესაბამისად.

**კონკურსის ფორმა:** კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2018 წლის 21 დეკემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება - იურისტი.